

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

## ოქმი N 14

ქ.ვანი თავისუფლების N65

25 ნოემბერი 2019 წელი

12: 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გიგა გოგიბერიძე, დავით ხარბეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

### მოწვეული პირი:

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბიუჯეტის პროექტის პროგრამული დანართი, 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მომხს: ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 65-ში, 3295 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.068) განთავსებული შენობა-ნაგებობის, პირველ სართულზე მდებარე 7.3 კვმ ფართის სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“- სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს: ზვიად კაპანაძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 29 კვმ ფართის სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხს: ზვიად კაპანაძე

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკითხი, რომლის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

**დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 65-ში, 3295 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.068) განთავსებული შენობა-ნაგებობის, პირველ სართულზე მდებარე 7.3 კვმ ფართის სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“- სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა

**დანართი:N2**

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

**დაადგინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 29 კვმ ფართის სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკითხი, რომლის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

**დანართი:N3**

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

**დაადგინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

### *გიგა გოგობერიძე*

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე